ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი № 42

28 დეკემბერი 2018 წ. ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

11:00 სთ

მოწვეული სტუმრები:

„თბილსერვისჯგუფის“ იურისტი- დავით ჩანქსელიანი

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:
კომისიის წევრები: ალექსანდრე ხუჯაძე, დავით უთმელიძე; ლევან დარახველიძე, გოჩა თევდორაძე, ვახტანგ შაქარიშვილი, ირაკლი ნადირაძე.
სხდომას ასევე ესწრებოდა საკრებულოს იურიდიული განყოფილების უფროსი შალვა ლომსაძე.
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრება კომისიის წევრთა უმრავლესობა.

გამომდინარე იქედან რომ ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე საპატიო მიზეზით სხდომას ვერ დაესწრო, კომისიის წევრებმა კენჭი უყარეს სხდომის თავმჯდომარედ დავით უთმელიძის კანდიდატურას.

კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა გადაწყვეტილებით სხდომას თავმდჯომარეობდა დავით უთმელიძე.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას და გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებისთვის 2019 წელს შრომითი ხელშეკრულებით ასაყვან პირთა წლიური სახელფასო ლიმიტის დაწესების შესახებ. (№03-031836153)
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.(№03-0318361106)
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების მართვის მომსახურების ორგანიზების კონკრეტული ფორმის გამოყენებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე. (№12-0318361119-03)
4. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული „დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაციის“ ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (№12-03183623-03)

დღის წესრიგი დამტკიცებული იქნა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებისთვის 2019 წელს შრომითი ხელშეკრულებით ასაყვან პირთა წლიური სახელფასო ლიმიტის დაწესების შესახებ.

საკითხის შესახებ ისაუბრა შალვა ლომსაძემ. მისი განმარტებით ძალადაკარგულად ცხადდება „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებისთვის 2018 წელს შრომითი ხელშეკრულებით ასაყვან პირთა წლიური სახელფასო ლიმიტის დაწესების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის N76 განკარგულება და რეგლამენტიდან გამომდინარე ხდება საკრებულოს განკარგულების გადამტკიცება. წარმოდგენილი პროექტით თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებისათვის, 2019 წელს შრომითი ხელშეკრულებით პირთა ასაყვანად, წესდება წლიური სახელფასო ლიმიტი შემდეგი ოდენობით: ფრაქციისთვის, რომლის შემადგენლობა განისაზღვრება 3 წევრით - 60 000 ლარი (თვეში არაუმეტეს 5000 ლარი). იმ ფრაქციისთვის, რომლის წევრთა რაოდენობა აღემატება 3 წევრს, ყოველ მომდევნო წევრზე ფრაქციის ყოველთვიური სახელფასო ლიმიტი იზრდება 1300 ლარით და ფრაქციის წლიური სახელფასო ლიმიტი განისაზღვრება შესაბამისი პროპორციით.
კენჭი ეყარა წარმოდგენილი განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.
მომხრე- 5 ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა გადაწყვიტეს საკითხი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

შალვა ლომსაძის განმარტებით, დადგენილების პროექტის მიღების მიზეზია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ ცალკეული დავალებების შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების ზღვრული მოცულობისა და ამ ზღვრული მოცულობიდან ასანაზღაურებელი ხარჯების განსაზღვრა.
საკრებულოს თითოეული წევრის მიერ ცალკეული დავალებების შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების ზღვრული მოცულობა შეადგენს თვეში 3200 ლარს.
ხარჯების განსაზღვრა ხდება ამ თანხის ზღვრული მოცულობიდან:
საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარეებს უფლება აქვთ ფრაქციის თითოეულ წევრს აუნაზღაურონ ფრაქციაში მუშაობისთვის გაწეული ხარჯი არაუმეტეს 500 ლარისა, საკრებულოს კომისიების თავმჯდომარეებს უფლება აქვთ კომისიის თითოეულ წევრს აუნაზღაურონ შესაბამის კომისიაში მუშაობისთვის გაწეული ხარჯი არაუმეტეს 900 ლარისა და დარჩენილი 900 ლარის საკრებულოს წევრზე გაცემის უფლება აქვს საკრებულოს თავმჯდომარეს, საკრებულოს წევრის საკრებულოს სხდომებზე დასწრების, განსახილველ საკითხებში მონაწილეობისა და ცალკეული დავალებების შესრულებისათვის, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში.
კენჭი ეყარა წარმოდგენილი დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.
მომხრე- 5 ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა გადაწყვიტეს საკითხი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის დაგვა-დასუფთავების და ნარჩენების მართვის მომსახურების ორგანიზების კონკრეტული ფორმის გამოყენებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

საკითხი კომისიის წევრებს წარუდგინა დავით ჩანქსელიანმა. მისი განმარტებით, მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის დაგვა-დასუფთავების, წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება-ტრანსპორტირებისა და მისი გაუვნებლობის მომსახურების ორგანიზებას, განახორციელებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული იურიდიული პირი შპს „თბილსერვის ჯგუფი". მან დაწვრილებით ისაუბრა იმ სამუშაოების შესახებ, რასაც განახორციელებს შპს „თბილსერვისჯგუფი'.

კენჭი ეყარა წარმოდგენილი განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.
მომხრე- 5 ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა გადაწყვიტეს საკითხი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული „დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა კომპენსაციის" ქვეპროგრამის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

საკითხთან დაკავშირებით განმარტა დავით უთმელიძემ. მან აღნიშნა, რომ წარმოდგენილი წესის დადგენილების პროექტი შესაბამოსობაში მოდის „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებასთან. წესის თანახმად კომპენსაციის მიმღები პირებს, რომლებსაც 2018 წლის დეკემბრის მდგომარეობით უნაზღაურდებოდათ დროებითი საცხოვრებელი ფართით სარგებლობის ქირის კომპენსაცია, 2019 წლის იანვარში დამტკიცებული სიის მიხედვით გაუგრძელდებათ კომპენსაციის გაცემა 2019 წლის ბოლომდე.

კენჭი ეყარა წარმოდგენილი დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე გატანას.
მომხრე- 5 ირაკლი ნადირაძემ კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო
ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა გადაწყვიტეს საკითხი გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე.

სხდომა გამოცხადდა დახურულად.

სხდომის თავმჯდომარე დავით უთმელიძე